

**გვერდი – „ღამათებით ღვთისმსახურთათვის“ მიჰყავს
ფილოლოგიისა და თეოლოგიის დოქტორს, პროფესორს, ბელატიის
მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს
დეკანოზ ბიძინა ბუნიას**

- ა) ინფორმაცია ლიტურგიკულ საკითხებზე შეგიძლიათ მოიძიოთ საპატრიარქოს განათლების ცენტრის ვებ-გვერდზე – „ცნობარი მედავითნეებისთვის“ <http://venakhi.ge/medavitne.html>
- ბ) კითხვები თქვენთვის საინტერესო ლიტურგიკულ საკითხებზე გამოგზავნეთ ელ-ფოსტაზე: davati@venakhi.ge ან svetitskhoveli@gmail.com
- გ) ინფორმაცია და პასუხები გარდა ზემოაღნიშნული ვებ-გვერდისა, იხილეთ აგრეთვე „ფეისბუქ-ზე“ - მამა ბიძინა ბუნია.

შენიშვნა: იხ. „საპატრიარქოს უწყებანი“ –
№36 (695) 31.10-6.11.2013წ. გვ. 4 და №37 (696) 7-13-11.2013წ. გვ. 5.

შენიშვნა: როცა რაიმე მიზეზის გამო ვერ ხერხდება საღმრთო ლიტურგიის აღსრულება, საეკლესიო განჩინებით, მის ნაცვლად სადილის ჟამნი უნდა ჩატარდეს.

„ღმერთი უფალის“ მსახურების სადილის ჟამნი

სადილის ჟამნი დაიწყება III და VI ჟამნების წაკითხვის შემდეგ.
VI ჟამნის დასრულების შემდგომ გაიხსნება კრეტსაბჭედი.

- დიაკონი:** – (ამბიონზე) „გვაკურთხენ... მეუფეო“
- მღვდელი:** – წმ. გრაპეზის წინ (დაკეცილ ოდიკზე) სახარებით გამოსახავს რა ჯვარს, წარმოთქვამს ასამაღლებელს: **„კურთხეულ არს მეუფება მამისა და ძისა და წმიდისა სულისა აწდა მარადის და უკუნითი უკუნისამდე“** (სუბოტინი 2009: 347; გასლოვი... 2010: 288).
- გუნდი:** – ამინ.
- დიაკონი:** – **დიდი კვერექსი:** „მშვიდობით უფლისა მიმართ ვილოცოთ...“
- გუნდი:** – ყველა მუხლზე, გარდა ბოლოსი, „უფალო შეგვიწყალებ“ 1-გზის, ბოლო მუხლზე კი – „შენ უფალო“.
- მღვდელი:** – საიდუმლოდ კითხულობს I აღსავლის ლოცვას კონდაკიდან: **„უფალო ღმერთო ჩვენო, რომლისა სიმტკიცე...“** (კონდაკი 1899: 122)
- ასამაღ.: **„რამეთუ შენის შენდა ყოველი დიდება...“**
- გუნდი:** – ამინ. **„აკურთხევს სული ჩემი უფალსა, კურთხეულ-ხარ შენ უფალო“.**
- მედავითნე:** – **I ანტიფონი (102-ე ფს):** „აკურთხევს სული ჩემი უფალსა...“ (ჟამნი 1899: 117).
- გუნდი:** – „დიდება, აწდა“, „აკურთხევს სული ჩემი უფალსა და ყოველი გონება ჩემი სახელსა წმიდასა მისსა, კურთხეულ-ხარ შენ უფალო“.
- დიაკონი:** – **I მცირე კვერექსი:** „მერმე და მერმე მშვიდობით...“.
- გუნდი:** – პირველ ორ მუხლზე „უფალო შეგვიწყალებ“ 1-გზის, ბოლო მუხლზე – „შენ უფალო“.
- მღვდელი:** – საიდუმლოდ კითხულობს II აღსავლის ლოცვას კონდაკიდან: **„უფალო ღმერთო ჩვენო, აცხოვნე ერი შენი...“** (კონდაკი 1899: 124).
- ასამაღ.: **„რამეთუ შენი არს სიმტკიცე და შენი არს...“** (კონდაკი 1899: 124).
- გუნდი:** – ამინ. „დიდება“.
- მედავითნე:** – **II ანტიფონი (145-ე ფს):** „აქებს სული ჩემი უფალსა...“ (ჟამნი 1899: 118).
- გუნდი:** – „აწდა“, „მხოლოდ შობილი ძე, და სიტყვა...“ (ჟამნი 1899: 120).
- დიაკონი:** – **II მცირე კვერექსი:** „მერმე და მერმე მშვიდობით...“.
- გუნდი:** – პირველ ორ მუხლზე „უფალო შეგვიწყალებ“ 1-გზის, ბოლო მუხლზე – „შენ უფალო“.
- მღვდელი:** – საიდუმლოდ კითხულობს III აღსავლის ლოცვას კონდაკიდან: **„ზიართა ამათ,**

და ერთ ხმობითა...” (კონდაკი 1899: 125).

- ასამაღ.: „რამეთუ სახიერი და კაცთმოყვარე ღმერთი...” (კონდაკი 1899: 125).
- გუნდი: – ამინ. III ანტიფონი: „ნეტარებების” გალობა.
- მელავითნე: – „ნეტარებებს” ჩაურთავს „მომიხსენენის” მუხლებს (ტროპრებს), ექვს, რვა ან ათ მუხლად (ტიპიკონის მოთხოვნათა შესაბამისად, კვირის შეიდეულის დღეთა და წლის ციკლის ამსახველ მსახურებათა წიგნებიდან).
- დიაკონი: – III ანტიფონის გალობის დაწყებისთანავე გააღებს აღსავლის კარს (მცირე შესვლისათვის).

მცირე შესვლა – შესვლა სახარებოი

მღვდელი

- და
- დიაკონი: – III ანტიფონის „დიდების” მუხლზე გამოვლენ ჩრდილოეთის კარით ამბიონზე (დიაკონს ხელთ უპყრია **წმ. სახარება**, მათ წინ მიუძღვით მნათე ანთებული სანთლით, რომელიც შუა ტაძარში დადგება მხედველი აღმოსავლეთით).
- დიაკონი: – ამბიონთან დაბალი ხმით მიმართავს მღვდელს: „**უფლისა მიმართ ვილოცოთ**”.
- მღვდელი: – საიღუმლოდ კითხულობს ლოცვას „**გამოსვლისა**”: „**მეუფეო უფალო ღმერთო ჩუენო...**” (კონდაკი 1899: 126)
- დიაკონი: – დაბალი ხმით მიმართავს მღვდელს: „**აკურთხე მეუფეო წმ. შესავალი**“.
- მღვდელი: – დასახავს რა ჯვარს აღმოსავლეთით, დაბალი ხმით იტყვის: „**აკურთხეულ არს შესავალი წმიდათა შენთა...**” (იხ. კ. გვ. 127, ზემოდან მე-8 ხაზი)
- დიაკონი: – შეამთხვევს (მიაგებებს) რა სახარებას მღვდელს, აღსავლის კარში სახარებით გამოსახავს ჯვარს და ხმამაღლა იტყვის: „**სიბრძნით აღემატენით**”.

შენი შვნა: საღმრთო ლიტურგიაზე 3 სახის ანტიფონი იგალობება:

- ა) ყოველდღიური;
- ბ) გამომსახველობითი;
- გ) სადღესასწაულო.

- ყოველდღიური ანტიფონები იგალობება „მცირე წმიდის” ხსენებისას კვირის შეიდეულის დღეებში ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, ასევე მიცვალებულთა მსახურებაზე. ეს ანტიფონები სამოციქულოს ბოლო გვერდზეა მოცემული და იწყება სიტყვებით: „**კეთილ არს აღსარებად უფლისა**“... შემდგომი ჩასართავებით;
- გამომსახველობითი ანტიფონები 102-ე, 145-ე ფსალმუნები და „**ნეტარებები**”. ეს ანტიფონები იგალობება კვირას, ზოგიერთ ათთორმეტ დღესასწაულზე და შეიდეულის დღეებში II-V რანგის მსახურებებზე;
- სადღესასწაულო ანტიფონები იგალობება აღდგომას და ზოგიერთ ათთორმეტ დღესასწაულზე. ისინი მოცემულია სამოციქულოში, სადღესასწაულოსა და ზატიკში.

გუნდი: – „მოვედით თაყვანის ვსცეთ და შეუვრდეთ ქრისტესა, გვაცხოვნენ ჩვენ ძეო ღვთისაო...” – რომელიც დასრულდება სიტყვებით:

- ა) კვირა დღეს - „**აღდგომილო მკვდრეთით...**” ;
- ბ) შეიდეულის დღეებში - „**წმიდათა შორის საკვირველო...**”.
- „**მგალობელნი შენნი აღილუია**”.

მელავითნე: – ტროპარ-კონდაკები სათანადო წესით.

ან

გუნდი: ასე მარბალითად:

კვირის ღამისთევვის მსახურების I რანგზე

1. თუ ტაძარი მაცხლვრის სახელობისაა:

- ტროპრები: – აღდგომისა; რიგის წმიდისა;
- კონდაკები: – აღდგომისა;

- „დიდება“ – რიგის წმიდისა;
- „აწ და“ – „სასო და შესავედრებელი...“

2. თუ ტაძარი ღვთისმშობლის სახელობისაა:

- ტროპრები: – აღდგომისა; ტაძრისა; რიგის წმიდისა.
- კონდაკები: – აღდგომისა;
- „დიდება“ – რიგის წმიდისა;
- „აწ და“ – ტაძრისა.

3. თუ ტაძარი რომელიმე წმიდის სახელობისაა:

- ტროპრები: – აღდგომისა; ტაძრის წმიდისა; რიგის წმიდისა.
- კონდაკები: – აღდგომისა;
- ტაძრის წმიდისა;
- „დიდება“ – რიგის წმიდისა;
- „აწ და“ – „სასო და შესავედრებელი...“

- მღვდელი:** – ტროპარ-კონდაკების გალობისას საიდუმლოდ კითხულობს „სამწმიდაო ქების“ ლოცვას კონდაკიდან: „ღმერთო წმიდაო, რომელი...“ (კონდაკი 1899: 128)
- ღიაკონი:** – მღვდლის მიერ საიდუმლო ლოცვის დასრულების მოახლოებისას, მოუხრის თავს მღვდელს და უპყრია რა ორარი მარჯვენა ხელით, მიმართავს მღვდელს დაბალი ხმით – „აკურთხე მეუფეო ჟამი სამწმინდაოსი“ და გავა ამბიონზე.
- მღვდელი:** – ჯვარს დასახავს ღიაკონს და ხმამაღლა იტყვის: „რამეთუ წმიდა ხარ ღმერთო ჩუენო, და შენდა დიდებასა აღვაგლენთ, მამისა, და ძისა, და წმიდისა სულისა, აწდა მარადის“.
- ღიაკონი:** – მხვენებელი ორარით ხაღხისკენ, შემდეგ მაცხოვრისა და ღვთისმშობლის ხატებისაკენ და ბოლოს წმ. ტრაპეზისკენ, ხმამაღლა ამბობს: „და უკუნითი უკუნისამდე“.
- გუნდი:** – ამინ. „წმიდაო ღმერთო...“.
- ღიაკონი:** – გუნდის მიერ „წმიდაო ღმერთო“ გალობის დასაწყისში, დაბალი ხმით მიმართავს მღვდელს: „ბრძანე... მეუფეო“.
- მღვდელი:** – „აკურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა“ (დაბალი ხმით).
- ღიაკონი:** – (დაბალი ხმით) „აკურთხე ... მეუფეო მაღალი დასაჯდომელი“.
- მღვდელი:** – „აკურთხეულ ხარ საყდართა ზედა...“ (კონდაკი 1899: 130).
- მღვდელი და**
- ღიაკონი** – დგებიან მაღალ დასაჯდომელთან, მხედველი დასაველეთით.
- მელავითნე:** – წინასწარ აიღებს რა კურთხევას მღვდლისგან, დგას შუა ტაძარში სამოციქულოთი ხელში.
- ღიაკონი:** – „მოხედენ“
- მღვდელი:** – „მშვიდობა ყოველთა“
- მელავითნე:** – „და სულისაცა შენისა თანა“
- ღიაკონი:** – „სიბრძნით“
- მელავითნე:** – ასრულებს სამოციქულოს წარდგომას სათანადოდ.
- გუნდი:** – პასუხობს შესაბამისად.
- ღიაკონი:** – „სიბრძნით“.
- მელავითნე:** – ასახელებს სამოციქულოს (მაგ.: „თესალონიკელთა მიმართ ეპისტოლე. წმიდისა პავლე მოციქულისა საკითხავი“).
- ღიაკონი:** – „მოხედენ“.
- მელავითნე:** – კითხულობს სამოციქულოს.
- მღვდელი:** – სამოციქულოს კითხვის დასრულების შემდეგ ჯვარს დასახავს მელავითნეს და ეტყვის: „მშვიდობა შენდა“.
- მელავითნე:** – „და სულისაცა შენისა თანა“
- ღიაკონი:** – სიბრძნით (კონდაკი 1899: 131; სამაგიდო... 1977: 247).

- მედავითნე:** – ასახელებს სახარების „წარდგომის“ - „ალილუიას“ ხმას და კითხულობს „ალილუიას“ მუხლებს.
- გუნდი:** – პასუხობს სათანადოდ.
- დიაკონი:** – მიიღებს რა კურთხევას მღვდლისგან, აღასრულებს მცირე კმევას.
შენიშვნა: არსებობს ერთგვარი მოსაზრება, რომ, თითქოსდა სადილის ჟამზე, სახარების კითხვის წინ, კმევა არ აღესრულება. მსგავსი მოსაზრებაა გამოთქმული მღვდლის მიერ სახარების წინ საიდუმლო ღოცვის წაკითხვასთან დაკავშირებითაც (გასლოგი... 2010: 288-289), რასაც ჩვენ არ ვეთანხმებით.
- მღვდელი:** – დიაკონის მიერ სახარების წაკითხვის წინ საიდუმლოდ კითხულობს ღოცვას „პირველ სახარებისა“: „გამოაბრწყინვე გულთა შინა...“ (კონდაკი 1899: 132).
- დიაკონი:** – (საკურთხევებში) ორარით სახარების მჩვენებელი, მიმართავს მღვდელს დაბალი ხმით: „აკურთხე მეუფეო სიტყვანი...“
- მღვდელი:** – ჯვარს გადასახავს დიაკონს და ეტყვის: „ღმერთმან ვედრებითა წმიდისა...“, რის შემდეგაც გადასცემს დიაკონს სახარებას და მიდის მაღალდასაჯლომელთან (სამაგიდო... 1977: 247-248).
შენიშვნა: თუ სახარება შუა ტაძარში იკითხება (IV, V და VI რანგის მსახურებებისას), მღვდლისა და დიაკონის ზემოსხენებული სიტყვები ითქმის ხმამაღლა, ამასთან ამ დროს დიაკონი სახარებით შუა ტაძარში იმყოფება.
- დიაკონი:** – ამინ. მიიღებს მღვდლისაგან სახარებას და დაასვენებს მას ამბიონზე მდებარე ანალოგიაზე და იტყვის: „სიბრძნით აღემართენით და ისმინეთ წმიდა სახარება“
- მღვდელი:** – „მშვიდობა ყოველთა“.
- გუნდი:** – „და სულისაცა შენისათანა“.
- დიაკონი:** – ასახელებს სახარებას.
- გუნდი:** – „დიდება შენდა უფალო, დიდება შენდა“.
- მღვდელი:** – მოხედენ.
- დიაკონი:** – წაკითხვას სახარებას (ამბიონზე მხედველი აღმოსავლეთით).
შენიშვნა: თუ მსახურებაში არ მონაწილეებს დიაკონი, მღვდელი სახარებას წაკითხვას ამბიონზე მხედველი დასავლეთით.
- მღვდელი:** – „მშვიდობა შენდა კეთილ მომთხრობელო“.
- გუნდი:** – „დიდება შენდა უფალო, დიდება შენდა“.
- დიაკონი:** – გადასცემს აღსავლის კარში სახარებას მღვდელს.
- მღვდელი:** – სახარებას დაასვენებს ტრაპეზზე (დაკეცილ ოდიკზე).
დაიხურება აღსავლის კარი
- დიაკონი:** – მრჩობლი კვერექსი: „ვსთქვათ ყოველთა...“ (კონდაკი 1899: 134-137).
- გუნდი:** – პირველ ორ მუხლზე – „უფალო შეგვიწყაღენ“ 1-გზის, დანარჩენზე 3-გზის.
- მღვდელი:** – საიდუმლოდ კითხულობს ღოცვას „შევრდომით სავედრებელს“: „უფალო ღმერთო ჩვენო...“ (კონდაკი 1899: 135).
 – ასამაღ.: „რამეთუ მოწყაღე და კაცთმოყვარე...“ (კონდაკი 1899: 137).
- გუნდი:** – ამინ.
- გუნდი:** – მრწამსი
- Ddiakoni:** – თხოვნითი კვერექსი: „აღუსრულოთ ვედრებაჲ ჩუენი უფალსა“.
შენიშვნა: თხოვნითი კვერექსის მე-2 მუხლი: „წინა დაგებულთა პატროსანთა ძღვენთათვის...“, დაიტევება.
- Ggundi:** – პირველ ხუთ მუხლზე: „უფალო შეგვიწყაღენ“ – 1 გზის; დანარჩენებზე (გარდა ბოლოსი): „მოგვმადღენ უფალო“; ბოლო მუხლზე: „შენ უფალო“.
- mRvdeli:** – ასამაღ.: „და ღირს მყვენ ჩვენ მეუფეო...“ (კონდაკი 1899: 176).
- Ggundi:** – „მამაო ჩვენო“.
- mRvdeli:** – ასამაღ.: „რამეთუ შენი არს სუფევა...“.
- Ggundi:** – ამინ.
- mRvdeli:** – მშვიდობა ყოველთა.

- Ggundi:** – და სულისაცა შენისათანა.
- Ddiakoni:** – თავნი ჩვენნი უფალსა მოუდრიკნეთ.
- mRvdeli:** – საიდუმლოდ კითხულობს თავმოდრეკის ლოცვას: „უფალო ღმერთო ჩუენო, რომელმან მოდრიკენ ცანი...“
- erTa:** – მოიდრიკონ თავი.
- Ggundi:** – შენ უფალო (გრძლად).
- mRvdeli:** – ასამად.: „რამეთუ კურთხეულ არს სახელი შენი, და დიდებულ მეუფება შენი, მამისა, და ძისა, და წმიდისა სულისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე“ (კონდაკი 1899: 78; სუბოტინი 2009: 348; გასლოვი... 2010: 289).
შენიშვნა: აქ შესაძლებელია ითქვას სხვა ასამაღლებელიც: „იყავნ სიმტკიცე სუფევისა შენისაY კურთხეულ და დიდებულ, მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე“ (სუბოტინი 1899: 348).
- Ggundi:** – ამინ. „იყავნ სახელი უფლისა...“ 3-გ ზის.
- medaviTne:** – „დიდება“, „აწ და“,
 – „ვაკურთხო უფალი ყოველსა ჟამსა...“ (33-ე ფს. ბოლომდე).
 გაიღება აღსავლის კარი
- mRvdeli:** – „კურთხევა უფლისა თქვენზედა...“
- Ggundi:** – ამინ.
- მღვდელი:** – „დიდება შენდა ქრისტე ღმერთო, სასოებაო...“
- გუნდი:** – „დიდება“, „აწ და“, „უფალო შეგვიწყალებ“ 3-გ ზის, „სახელითა უფლისათა ... გვაკურთხენ“.
- მღვდელი:** – აღასრულებს დიდ ჩამოლოცვას. კვირა დღეს:
 – „მკვდრეთით აღდგომილმან ქრისტემან ჭეშმარიტმან ღმერთმან ჩუენმან, მეოხებითა ყოვლადუხრწნელისა დედისა თვისისაYთა, წმიდათა დიდებულთა და გლადქებულთა მოციქულთა და ...
 – ეკლესიის წმიდისა და ...
 – რიბის წმიდისა, ანუ იმ დღის წმიდათა ...
 წმიდათა და მართალთა მშობელთა ღმრთისათა იოაკიმ და ანაYსითა, და ყოველთა წმიდათაYთა, შეგვიწყალებ და გუაცხოვნენ ჩუენ, ვითარცა არს და კაცთმოყვარე“ (1, 321-322).
- სახიერ გუნდი:** – ამინ, „უფალო შეგვიწყალებ“ 3-გ ზის.
შენიშვნა: ქადაგებისა და ჯვარზე მოხვევის შემდეგ, აღსავლის კარი და კრეტსაბმელი დაიხურება.

ღამოწმებული ლიტერატურა:

გასლოვი... 2010: Гаслов И. Кашкин А. ПРАВОСЛАВНОЕ БОГОСЛУЖЕНИЕ - практическое руководство для клириков и мирян. Санкт-Петербург: Издательство САТИСЬ ДЕРЖАВА, 2010;

კონდაკი 1899: საღვთისმსახური წიგნი „კონდაკი“. თბილისი: ექვთიმე ხელაძის სტამბა, 1899;

ჟამნი 1899: (საღვთისმსახურო წიგნი) ჟამნი. თბილისი: ექვთიმე ხელაძის სტამბა, 1899;

სამაგიდო....1977: Настольная книга Священнослужителя, т. I. Москва: издание Московской Патриархии, 1977.

სუბოტინი 2009: Свящ. Субботин К. Руководство к изучению УСТАВА Богослужения православной Церкви. Киев: Издательство имени святителя Льва, папы Римского, 2009.